სსიპ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის

ძველი ქართული ხელოვნების განყოფილების გამგის არჩევა

განყოფილების ვაკანტური ხელმძღვანელის პოზიციაზე დასაკავებელი საკონკურსო პირობები

პოზიციის დასახელება: ძველი ქართული ხელოვნების განყოფილების გამგე

ადგილების რაოდენობა: 1

თანამდებობრივი სარგო: 565.00 ლარი

შესასრულებელი სამუშაოს მოკლე აღწერილობა:

ა) ხელმძღვანელობს სტრუქტურულ ერთეულს შესაბამისი დარგის მიხედვით;

ბ) შეიმუშავებს სტრუქტურულ ერთეულში განსახორციელებელი საქმიანობის გეგმებს და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

გ) სამეცნიერო საბჭოს წინაშე აყენებს სამეცნიერო თანამდებობიდან პირის გათავისუფლების ან პირის დაწინაურების საკითხს;

დ) სტრუქტურული ერთეულის კომპეტენციის ფარგლებში ორგანიზებას უწევს სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების შემუშავებას, რომელსაც ათანხმებს სამეცნიერო საბჭოსთან;

ე) შეიმუშავებს სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთა სამუშაო გეგმას და წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად;

ვ) შეიმუშავებს და დირექტორს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტის პროექტს;

ზ) პასუხისმგებელია სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;

2. სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების არანაკლებ 6 წლიანი სტაჟი;

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის განვითარების პროგრამა;

4. დარგის (მიმართულების) განვითარების კონცეფცია

კონკურსში მონაწილეობისთვის წარმოსადგენი დოკუმენტები:

1. განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დადგენილი ფორმის მიხედვით);

2. რეზიუმე ან CV;

3. პირადობის მოწმობის ასლი;

4. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

5. სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების არანაკლებ 6 წლიანი სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტი;

6. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის განვითარების პროგრამა;

7. დარგის (მიმართულების) განვითარების კონცეფცია.

კონკურსში მონაწილეთა განცხადების წარდგენის წესი და ვადები:

1. განცხადება წარდგენილი უნდა იქნეს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ათონელის ქ. N9

2. განცხადებები მიიღება 2022 წლის 22 ივლისიდან 6 აგვისტომდე, 09:00 საათიდან 18:00 საათადე.

3. დაგვიანებით წარდგენილი განცხადებები არ მიღება.

გადაწყვეტილების მიღების წესი:

გადაწყვეტილების მიღება მოხდება გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის განყოფილების გამგის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად.